



სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური
დირექტორის

ბრძანება № 94

2017 წლის 12 ივნისი

ქ. თბილისი

„2017 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2017 წლის 16 ივნისის N74 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო გრანტებისა და პროგრამების უზრუნველყოფის, შეფასებისა და ანალიზის დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის ქეთევან გაბიტაშვილის სამსახურებრივი ბარათის (N814390, 11.07.2017) შესაბამისად,

ებრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „2017 წლის ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობებისა და საკონკურსო განაცხადის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2017 წლის 16 ივნისის N74 ბრძანების დანართი ერთით დამტკიცებულ კონკურსის პირობებში და პირობების:

ა) მე-2 მუხლის მე-13 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„13. ამ მუხლის მე-11 და მე-12 ქვეპუნქტებისათვის, პროექტი ჩაითვლება მიმდინარედ, თუ პროექტზე არ არის გაფორმებული შედარების აქტი დამოწმებული ორმხრივი ხელმოწერით და 2017 წლის 5 აგვისტოს მდგომარეობით არ არის დახურული.“

ბ) მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტის ა.8 ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.8. უცხოელი კონსულტანტის თანხმობის წერილი (შეთანხმების არსებობის შემთხვევაში) (დანართი №10, pdf ფორმატი). დოკუმენტის ქართული ვერსია დამოწმებული უნდა იყოს თარჯიმანთა ბიუროს მიერ.“

გ) ამოღებული იქნას მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი.

2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე

